საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/864
13/02/2023

864-21-2-202302131659

შპს „ფორთ ფილარი“-ს
მის: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №15
ელ.ფოსტა: tsuna777@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №249 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში, სამელიორაციო სისტემისა და 22 000 $მ^3$ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, წყლის ტუმბო და საპროექტო წყლის მილსადენის მცირე მონაკვეთი მდებარეობს იორის აღკვეთილის საზღვრებში. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული იორის აღკვეთილის ტერიტორიაზე წყლის სატუმბი სადგურისა და მილსადენის მშენებლობის დაწყებამდე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების - „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე მე-60 მუხლის შესაბამისად, საჭიროა ტერიტორიისათვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭება, რისთვისაც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენილი უნდა იყოს ამავე დადგენილების 61-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის ანგარიშში.
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია თვეების მიხედვით მდინარიდან ამოღებული წყლის რაოდენობისა და სამარაგო რეზერვუარის შევსების ჯერადობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად საპროექტო 90 ჰა მიწის ნაკვეთის მოსარწყავად წელიწადში წყლის რაოდენობა შეადგენს 730 000 $მ^3$-ს. აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტში განმარტებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის რწყვის ნორმები, ვადები და რწყვის ჯერადობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „შემკრები რეზერვუარიდან წვეთოვანი-გამანაწილებელი სადგურის გავლით განხორციელდება საპროექტო მილსადენებით მიწის ნაკვეთებზე წყლის მიწოდება“. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს მილების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია (სიგრძე, დიამეტრი);

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს რეზერვუარის ტექნიკური პარამეტრების (სიღრმე, სიგანე და სხვა) შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსახსნელი ნიადაგის მოცულობის შესახებ;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო